

დევილ ქალთა საჭიროებების აღწერა დევილთა კომპაქტურად დასახლებულ ცენტრებში

დევილ ქალთა საჭიროებების შეფასება ჩატარდა 2008 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბრის 1 კვირაში, შემდეგ კომპაქტურ ცენტრებში:

ქ. თბილისი:

ისნის ყოფილი რუსული სამხედრო ჰოსპიტალი, (1500 დევილი);

ყოფილი სამხრეთ კავკასიის სამხედრო ოლქის შენობა (1700 დევილი);

ქ. გორი:

საბავშვო ბაგა-ბაღები: #1 (თოიძის ქ. #2), #2 (მეჯვრისხევის ქ. #20), #13 სკოლა-გიმნაზია (ჭანტურიას ქ.#7); „კარვების ქალაქი“ (სულ 100 დევილი ქალი).

10 ოქტომბერი,

2008 წ.

დევილ ქალთა საჭიროებების აღწერა დევილთა კომპაქტურად დასახლებულ ცენტრებში

დევილ ქალთა საჭიროებების აღწერაში მონაწილეობდა 4 ორგანიზაცია: კავკასიის ქალთა ქსელი, ჯანმრთელი სამყარო, ომის ინვალიდთა და დაღუპულ მეომართა მეუღლეთა კავშირი, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი.

საჭიროებების აღწერა ჩატარდა 2008 წ. აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბრის 1 კვირაში. აღწერა ჩატარდა შემდეგ ადგილებზე:

ქ.თბილისი: ისნის ყოფილი რუსული სამხედრო ჰოსპიტალი, (1500 დევილი);

ყოფილი სამხრეთ კავკასიის სამხედრო ოლქის შენობა (1700 დევილი);

ქ.გორი: საბავშვო ბაგა-ბაღები №1 (თოიძის ქ.№2) №2 (მეჯვრისხევის ქ.№20) №13 სკოლა-გიმნაზია (ჭანტურიას ქ.№7); და კარვების ქალაქი (სულ 100 დევილი ქალი).

დევილ ქალთა საჭიროებების აღწერის მიზანი იყო, გამოგვევლინა დევილ ქალთა საჭიროებები და, აგრეთვე, შესაძლებლობების ფარგლებში აღმოგვეჩინა დახმარება.

სწრაფი დახმარების/რეაგირების ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე მიმართულების მცირე პროგრამა, რომელიც მოიცავდა: **ჰუმანიტარულ** (ტანსაცმელი, სამზარეულოს ნივთები, პირადი ჰიგიენის ნივთები, ლოგინის ნივთები, სარეცხი/ჰიგიენური საშუალებები), **სამედიცინო** (სამედიცინო შემოწმება, დეზინფექცია, პირველადი დიაგნოზირება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა), **სამართლებრივ** (იურიდიული კონსულტაცია) და **საინფორმაციო უზრუნველყოფის** დახმარებას.

საჭიროებების აღწერა ჩატარდა რამდენიმე მეთოდის გამოყენებით: კითხვარი, პირისპირ ინტერვიუები კოორდინატორებთან, შეხვედრები მცირე ჯგუფებში, წრეში საუბრები, ქალთა ისტორიები, საცხოვრებელი პირობების დათვალიერება.

ორთვიანი მუშაობის მანძილზე გამოიკვეთა დევილ ქალთა რიგი საჭიროებებისა, რომელთა პრიორიტეტულობაც პერიოდულად იცვლებოდა. ასევე, ემატებოდა ახალი საჭიროებები. ეს ერთის მხრივ, განპირობებული იყო იმით, რომ სულ პირველ დღეებში დევილები იმყოფებოდნენ შოკურ მდგომარეობაში (მძიმე სტრესის შედეგად). მაგალითად, აგვისტოს დასაწყისში მათი უპირველესი საჭიროება იყო თავშესაფარი და პური.

მეორეს მხრივ, ასეთი მდგომარეობა და შესაბამისი საჭიროებების ჩამონათვალი კანონზომიერებაშია ერთმანეთთან და გადის რამდენიმე სტადიას, რომელთა ანალიზიც გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ, თუ კრიზისის რომელ ეტაპზე არიან ამჟამად ქალები.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამ კვლევაში გვეჩვენებინა, დევილ ქალთა საჭიროებების სპექტრი და მისი გადანაწილება დროში (აგვისტოს პირველი ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე). ასეთი გადანაწილება გვიჩვენებს, თუ როგორი მოთხოვნილებების დინამიკას¹ გადიან დევილი ქალები და ომის შემდგომ პერიოდში კრიზისიდან გამოსვლის რომელ ეტაპზე არიან მათი მოთხოვნილებების შკალიდან გამომდინარე.


¹ აბრაჰამ მასლოუს მიხედვით 'მოთხოვნილებათა პირამიდა'.

ჩვენი აღწერის მასალებით შევეცადეთ, გვეჩვენებინა ომის შემდგომ ორ თვეში როგორ იცვლება და მონაცვლეობს (ზრდა-კლება) ქალთა საჭიროებების ჩამონათვალი. აღწერილი საჭიროებები დავაჯგუფეთ 10 კატეგორიად და ყოველი კატეგორიის შემადგენელ კომპონენტს მივანიჭეთ რეიტინგული მაჩვენებელი, რომლითაც განისაზღვრა მისი პრიორიტეტულობა მოცემული მომენტისათვის. რეიტინგული მაჩვენებელი ყოველი ცალკეული კომპონენტისთვის ასე გადანაწილდა: 4 – უმნიშვნელოვანესი; 3 - მნიშვნელოვანი, 2 - ნაკლებად მნიშვნელოვანი, 1 – უმნიშვნელო.

გამოიყო საჭიროებათა შემდეგი კატეგორიები: 1. კვება; 2. თავშესაფარი/განსახლება; 3. სამზარეულოს ნივთები; 4. პირადი ჰიგიენა; 5. ტანსაცმელი და ლოგინი; 6. ჯანმრთელობა; 7. მგზავრობა/გადაადგილება; 8. ინფორმაცია; 9. ინფორმაციის საშუალებები; 10. ბავშვის განათლება. ეს კატეგორიები დავალაგეთ მათი პრიორიტეტულობის მიხედვით.

დეწნილ ქალთა საჭიროებების დროში გადანაწილება კატეგორიების მიხედვით:


1. კვება (პური, სუფთა წყალი, ცხელი საკვები, რძის პროდუქტები, ბავშვის საკვები)



საარსებოდ აუცილებელი საკვების ჩამონათვალში შეტანილია რძის პროდუქტები და ჩვილი ბავშვის კვება – როგორც პირველადი საჭიროების საკვები მცირეწლოვანი და ჩვილი ბავშვებისათვის. ეს საკითხი, როგორც განსაკუთრებული პრობლემა დაფიქსირდა პირველივე კვირას. დედებისათვის მძიმე იყო, რომ მცირეწლოვანი და ჩვილი ბავშვები, რომლებიც დეწნილობამდე ძირითადად იკვებებოდნენ ნატურალური რძის პროდუქტებით, გამოეკვებათ კონსერვით ან მშრალი საკვებით. ამ მიმართულებით საკითხის პრობლემატურობა დღესაც მწვავეა.


2. თავშესაფარი/განსახლება (კერძო სექტორი, სკოლები, საბავშვო ბაღები, სახელმწიფო დაწესებულებები, კარვები)

კავკასიის ქალთა ქსელი



თავშესაფარის საკითხი ბუნებრივია, აგვისტოს თვეშივე ყველაზე მწვავედ იდგა. ომის პირველ დღეებში გამოქცეული ხალხი თავდაპირველად ნათესავ-ახლობლებთან გაჩერდა. ვისაც ასეთი საშუალება არ აღმოაჩნდა, ელოდებოდნენ, სანამ მათ გაანაწილებდნენ კომპაქტურ ცენტრებში (სკოლები, საბავშვო ბაღები, კარვები, სახელმწიფო დაწესებულებები). საკვები არ მიეწოდებოდათ კერძო სექტორში განთავსებულ დევნილებს, ამიტომ, მათი უმეტესი ნაწილი გადავიდა კომპაქტურ ცენტრებში. ამან დამატებით გაამწვა ადგილების უკმარისობის პრობლემა. აგვისტოს ბოლოს დევნილთა დიდი ნაწილი (გორის და გორის სამხრეთით მდებარე სოფლების მოსახლეობა) დაბრუნდა საკუთარ სახლებში და გორშივე აიგო 'კარვების ქალაქი', რომელშიც დევნილები განათავსეს. განთავსების პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა სექტემბრის შუა რიცხვებისათვის, მაგრამ ამ პერიოდში გამოცხადდა სასკოლო წლის დასაწყისი, რამაც სკოლებში განთავსებული დევნილების ხელახალი განსახლების პრობლემა დააყენა. სკოლებიდან გამოსული დევნილების გადანაწილება მოხდა კარვებში და სხვა კომპაქტურ ცენტრებში. ოქტომბრის დასაწყისში დევნილებისთვის გამოიკვეთა ახალი პრობლემა: რუსეთის ჯარის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილობრივი დატოვების (გასვლის) შემდეგ გამოცხადდა გორის რაიონის დევნილთა დაბრუნება მათ სახლებში, თუმცა თავად დევნილების ნაწილი, განსაკუთრებით ქალები არ თვლიან სახლში დაბრუნებას უსაფრთხოდ, განსაკუთრებით შვილების გამო. გარდა იმისა რომ მარტივად ჭერის საშუალება ჰქონოდათ განთავსების საკითხში მწვავედ იყო წამოჭრილი ერთ ოთახში განთავსებული იყო ერთზე მეტი ოჯახი. ეს ფაქტი პრობლემატური იყო ოჯახისათვის რადგან, ერთის მხრივ, ოჯახის ინტიმურობა იყო ხელყოფილი და მეორეს მხრივ, ქალებისა და გოგონებისთვის პირადი ჰიგიენა ხელმიუწვდომელი იყო.

3. სამზარეულოს ნივთები (გაზი, ელ. ქურა, ტაფა, თეფში, ჭიქა, დანა-ჩანგალი-კოვზი, წყლის მადულარა, სარეცხი საშუალებები, მაცივარი)




აგვისტოს თვეშივე განსაკუთრებული სიმწვავეით გამოვლინდა სამზარეულოს ნივთების

კავკასიის ქალთა ქსელი

საჭიროება. პირველად საკვებთან ერთად, საჭირო იყო ჭურჭელი (იყო შემთხვევები, როდესაც თბილისის მოსახლეობისგან მიღებული სადილი დევნილებს ხელის გულზე გადაუნაწილდათ ელემენტარულად თევზის არქონის გამო). გაზის ბალონის აუცილებლობა აგვისტოს მეორე ნახევარში გამოვლინდა. სექტემბერში ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა, თუმცა, დღეისათვის კვლავ იჩინა თავი, რადგან დევნილებს არ აქვთ საშუალება, დამუხტონ ბალონები. თავისთავად რომც ყოფილიყო რაოდენობრივად ხელმისაწვდომი ელექტრო ქურები, მაინც გაჭირდებოდა მათი გამოყენება მოშლილი ელექტროგაყვანილობის გამო. მაცივრების საჭიროება დღემდე იმ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც კვლავ გადაუჭრელია. განსაკუთრებით აგვისტოს ცხელ დღეებში ამ პრობლემის მოუგვარებლობამ გამოიწვია კვებითი ინტოქსიკაციები, რამაც კიდევ უფრო გაართულა დევნილთა ყოფა.

4. პირადი ჰიგიენა (ტუალეტი, შხაპი, სუფთა წყალი, დასაბანი ტაშტი, ჰიგიენური პაკეტი, ბავშვის და მოხუცის პამპერსი)




პირადი ჰიგიენის საკითხი რა თქმა უნდა დიდწილად გადაჯაჭვულია განსახლების საყოფაცხოვრებო პირობებთან. ძირითადი სიმწვავე პრობლემისა გამოვლინდა ტუალეტების და სუფთა წყლის ხელმიუწვდომლობით. შენობები, რომლებშიც განათავსეს დევნილები ძირითადად ამორტიზირებული იყო და სანტექნიკა და კანალიზაციის სისტემა ფაქტიურად მწყობრიდან იყო გამოსული. იმ გამონაკლის შემთხვევებში, სადაც მცირე როდენობის სველი წერტილი მუშაობდა, ვერ აკმაყოფილებდა რაოდენობრივ ფაქტორს. ამან აგვისტოს ცხელ პერიოდში ხელი შეუწყო რიგი ინფექციების გავრცელებას და აქედან გამომდინარე პირობები უფრო დამძიმდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილობრივ ეს პრობლემა მოგვარდა სექტემბერის დასაწყისისთვის: იქ, სადაც ეზოში იყო საშუალება, მოეწყო გარე ტუალეტები, მაგრამ მათი სანიტარული სტანდარტი ძალიან დაბალია და წვიმის პირობებში (სექტემბრის ბოლო - ოქტომბრის დასაწყისი) მათი ექსპლოატაცია ხელმიუწვდომელი ხდება, თანაც ისევ მატულობს ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება. შხაპი და სუფთა წყალი, ისევე როგორც დასაბანი ტაშტი (მცირეწლოვანი ბავშვებისთვის და უფროსებისთვის ცალ-ცალკე) დღესაც პრობლემად რჩება.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ხელისუფლების მხრიდან თავიდანვე გამოცხადდა, რომ ახლო მდებარე აბანოებში დევნილთა უფასო მომსახურება ორგანიზებული იყო. აქ ისევე გადაადგილების პრობლემა იდგა. ამასთან, ჰუმანიტარული დახმარება (მათ შორის საკვები), რომელიც შედიოდა კომპაქტურ ცენტრებში, სპონტანური იყო (დროში გადაუნაწილებელი) და მისი დანაწილების პროცესი კი

კავკასიის ქალთა ქსელი


არაორგანიზებული. ამ პირობებში ერთადერთი გარანტია, რომ ყოველ ოჯახს შეხვედროდა განკუთვნილი დახმარება, ის იყო, რომ მუდმივად ოჯახიდან ვინმე ადგილზე გაჩერებულიყო და დალოდებოდა დახმარებას. ეს როლი ძირითადად ქალებმა აიღეს თავის თავზე.

5. ტანსაცმელი და ლოგინი (საცვლეები, საწოლი, ლეიბი, თბილი ტანსაცმელი, ლოგინის თეთრეული, თბილი საბანი)



ტანსაცმელისა და ლოგინის საკითხი ტრადიციულად ქალთა მოსაგვარებელი და საზრუნავია სამზარეულოსა და კვებასთან ერთად. ამ ჩამონათვალში მათი საჭიროებების ეტაპები განაპირობა ერთის მხრივ განთავსების პირობებმა, ხოლო მეორეს მხრივ, სეზონურმა აციებამ. საბავშვო ბაღებში თავიდანვე ხელმისაწვდომი იყო ლეიბები და ბავშვის საწოლები, ხოლო სხვაგან ეს დიდი პრობლემა იყო - თავდაპირველად მოშიშველებულ იატაკზე ჰქონდათ მოწყობილი დასაწოლი. ლეიბებითა და საწოლებით მომარაგების შემდეგ თავი იჩინა ლოგინის თეთრეულის პრობლემამ. ამ ბოლო დროს კი უმთავრესი პრობლემა საბნები და თბილი ტანსაცმელია.

6. ჯანმრთელობა (რეაბილიტაცია (ფსიქოლ. და სამედიცინო), წამლები, დეზინფექცია, სამედიცინო შემოწმება)




სამედიცინო შემოწმების საკითხი მოუგვარებელი იყო თავიდანვე. აქ შეიძლება გამოიკვეთოს ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემა: დევნილთა უფასო სამედიცინო მომსახურების მიმართულებით და წამლების ხელმისაწვდომობის საკითხით. დღემდე ბევრისთვის გარკვეული არ არის, მაგალითად ანალიზების საფასურის საკითხი. თუმცა ასევე პრობლემატურია პოლისის მქონე ადამიანებისთვის უფასო გარანტირებული მომსახურების მიღება. დეზინფექცია, როგორც საჭიროება იმთავითვე დაფიქსირდა, რადგან თავი იჩინა კანისმიერმა დაავადებებმა (განსაკუთრებით გოგონებსა და ქალებში, რადგან,

კავკასიის ქალთა ქსელი

ბუნებრივია, მათ მხრებზე გადაიარა შენობების პირველადმა მოწესრიგებამ ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებამდე მისაყვანად). ომის შემდგომ პერიოდში ქალთა ჯანმრთელობის პრობლემამ ყველაზე მეტად იჩინა თავი. დევნილობის პირველი დღეებიდან, ოჯახის წევრებზე ინფორმაციული ვაკუუმიდან დაწყებული, დამთავრებული ბრძოლით გადარჩენისათვის (საკვები, თავშესაფარი, შვილების დაცვა და უსაფრთხოების საკითხი, ასევე, მორღვეული ყოფის გაუსაძლისი პირობები – ცივ წყალში პირადი და ოჯახი წევრთა ჰიგიენის უზრუნველყოფა, - მათ ჯანმრთელობაზე ჰპოვა ასახვა. ამასთან, აღსანიშნავია რომ ძალიან ხშირი იყო კვებითი ინტოქსიკაცია, ნაწლავური ინფექციები, კანის დაავადებები, გინეკოლოგიური პრობლემები. არ არსებობდა და დღესაც მაღალ საჭიროებას წარმოადგენს ქალთათვის ხელმისაწვდომი ელემენტარული, პირველადი სანიტარულ-საინფორმაციო უზრუნველყოფა. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად გააიოლებდა ოჯახის წევრთა (პირველ რიგში ბავშვთა) დაცვისა და პროფილაქტიკის პრობლემურ საკითხს.


7. ტრანსპორტი /გადაადგილება (თავის სოფელში შესვლის უსაფრთხოება; მგზავრობის ხარჯი, ქალაქში ორიენტაცია;)



გადაადგილების საკითხი რამდენიმე კომპონენტით გამოვყავით. თავდაპირველი საჭიროება გამოიხატა გადაადგილების პირობებში ადგილზე ორიენტაციაში. თბილისის ქუჩებში და ტრანსპორტის საშუალებებში გარკვევამ და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიგნების საკითხმა თავი იჩინა პირველივე დღეებში (რეგისტრაციის გავლა, თავშესაფარში გადანაწილებისთვის ხელისუფლების ორგანოს მოძებნა, საკვების/ჰუმანიტარული დახმარების ცენტრის მიგნება, და სხვა). ასევე თავიდანვე გამოიკვეთა მგზავრობის ხარჯის საჭიროება. უკვე სექტემბრის თვეში, როდესაც შემოვლითი გზებით გახდა შესაძლებელი ე.წ. 'ბუფერულ ზონაში' შეღწევა, დევნილებმა დაიწყეს საკუთარ სოფლებში გადაპარვა, რომ ენახათ საკუთარი სახლისა და ქონების მდგომარეობა და შესძლებოდათ საკუთარი მოსავლის ნაწილის გადმოტანა. ეს პროცესი თავისთავად დაკავშირებული იყო დიდ საფრთხესთან და რისკთან, რადგან ამ პერიოდში დაფიქსირდა დევნილ მოსახლეობაზე ძალადობის ფაქტები. საკუთარ სოფელში შესვლის უსაფრთხოების საკითხმა კიდევ ერთხელ გააძლიერა გაზიარებული ინფორმაცია დევნილებში, რომ ქალებისა და გოგონებისთვის პირდაპირ რისკს წარმოადგენდა დაბრუნება. გაზიარებული ინფორმაცია კი ემყარება კონკრეტული

ძალადობის ფაქტებს, რომლებიც ჩადენილ იქნა ომის დროს ქალებისა და გოგონების მიმართ როგორც რუსების, ასევე ოსური ბანდ-ფორმირებების მიერ.


8. ინფორმაცია (ოჯახის წევრებზე ინფორმაცია, დახმარებასა და შეღავათებზე ინფორმაცია, უსაფრთხო დაბრუნებაზე ინფორმაცია, დატოვებულ სახლზე/ქონებაზე ინფორმაცია, სამედიცინო მომსახურებაზე ინფორმაცია)



ინფორმაციას ჩვენ განვიხილავთ როგორც ერთ-ერთ მთავარ საჭიროებას, რომელიც უმთავრესი ძალაა კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. ჩამოთვლილი კომპონენტებიდან თავდაპირველად ყველაზე დიდი საჭიროება იყო, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ოჯახის წევრებზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ომის პირველი დღეების დროს ჯერ ქალები და ბავშვები გამოიყვანეს ოჯახის უფროსებმა, მოგვიანებით კი ოჯახის დანარჩენმა წევრებმაც გამოაღწიეს, ვინც ცოცხალი გადარჩა. ოჯახების დაშორიშორებულ წევრებს ერთმანეთზე ინფორმაცია არ ჰქონდათ. დღეს ზოგადად ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ისევ პრობლემაა. ეს გარემოება დევნილებში იწვევს დამატებით შფოთვას და ართულებს მათ ყოფას. ბევრია შეკითხვა, რომელიც ისევ პასუხგაუცემელი ან ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული. მთავარი კითხვები კი – ‘როდემდე’ და ‘როგორ’ – ჰაერში რჩება გამოკიდებული. დევნილებს არ აქვთ ხელმისაწვდომი რაიმე ტიპის (მაგ. ბეჭდური) ინფორმაცია დახუსტებული ჩამონათვალით, თუ რა და სად არის მათთვის შესაძლებელი, რომ მიიღონ, ან ვისგან რა უნდა მოითხოვონ საჭიროების შემთხვევაში. ამ პროცესში გაურკვეველობა რა თქმა უნდა იწვევს პასუხისმგებლობის კონცენტრირებას დევნილთა ყოველ კონკრეტულ ოჯახზე, რომ შესძლოს, მოიპოვოს და გაუზიაროს ინფორმაცია ოჯახის წევრებს და შემდეგ-მეზობლებს. ეს მდგომარეობა უპირველესად აისახება ქალებზე, რომლებიც ტრადიციული ქალის როლიდან გამომდინარე, ოჯახის შიდა, პირველადი საჭიროებების მომწესრიგებლებად და მომგვარებლებად მოიაზრებიან. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ინფორმაციის მოპოვებაზე, და ამ მიმართულებით პრიორიტეტული როლიც მათ აქვთ ნაკისრი, რაც ართულებს მათ მდგომარეობას. მუდმივი შეგროვება და მუდმივი მზადყოფნა: რა, სად, როდის . . .


9. ინფორმაციის საშუალებები: (ტელევიზორი, გაზეთი, რადიო, მობილური, საინფორმაციო დაფა, ადგილზე კოორდინატორი, ინტერპერსონალური)

კავკასიის ქალთა ქსელი



ინფორმაციის მიღების საშუალებები და მათზე მოთხოვნილება ისევ მაღალია. ინფორმაციის ნაკლებობის გამო დევნილები ცდილობენ, მათთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით შეაფასონ შექმნილი ვაკუუმი, და ამ გზით შეიქმნან შესაძლო სურათი არსებული ვითარებისა. დღეს ისევე, როგორც აგვისტოს დასაწყისში, ისევ აქტუალურია ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რათა გაიგონ, დააზუსტონ, და გადაამოწმონ ინფორმაცია ერთმანეთში. კოორდინატორების – როგორც ინფორმაციის საშუალებების როლი ასევე მაღალი რჩება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში თავი იჩინა კოორდინატორების ხშირმა მონაცვლეობამ სხვადასხვა მიზეზის გამო, რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის.


10. ბავშვის განათლება (სკოლაში განაწილება, სკოლის სახელმძღვანელოები, სკოლის ჩანთები, მცირეწლოვანი ბავშვების ბაღებში განაწილება)



ბავშვის განათლების მიმართულებით საჭიროებათა განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საჭიროებები მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილდა. თუმცა ეს კატეგორიაც, ისევე როგორც საჭიროებათა სხვა კატეგორიები, გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და ამ ბოლო დროს დაწყებული გორის რაიონის დევნილთა დაბრუნების პროცესის ჭრილში ისევ თავიდან იჩენს თავს, როგორც მაღალი კატეგორიის საჭიროება, რომელიც თავისთავად კავშირშია როგორც გადაადგილებასთან, ასევე უსაფრთხოებასთან. წიგნები, სახელმძღვანელოები, საკანცელარიო ნივთები მოსწავლეეთათვის – როგორც საჭიროება ისევ მაღალ რეიტინგულია.


10 კატეგორიის საჭიროებათა დროში განაწილება

დევნილ ქალთა საჭიროებათა 10 კატეგორიის დროში განაწილება რეიტინგების მიხედვით:



მოთხოვნილებათა პირამიდა

საჭიროებათა გადატანით მოთხოვნილებათა პირამიდაზე შემდეგი სურათი იკვეთება:



დევნილ ქალთა საჭიროებების აღწერამ გვიჩვენა, დევნილ ქალთა მოთხოვნილებები ამ ეტაპზე პირამიდის მეორე დონემდეა მისული. ამასთან, პირამიდის მესამე დონემდე დევნილთა მხოლოდ ერთი ნაწილის მოთხოვნილებები მიდის. ბევრი მათგანის მოთხოვნილება - იყოს საზოგადოების შემადგენელი ნაწილი და თავს არ გრძნობდეს გარიყულად და მიტოვებულად არ არის დაკმაყოფილებული. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ ხდება დევნილების დაყოფა გეორგაფიული ნიშნის მიხედვით (ღიახვის ხეობისა და გორის რაიონის სოფლები) და მათთვის განსხვავებული მიდგომებია გამოკვეთილი - ყურადღება, დახმარება, დაბრუნება. ამასთან, სამწუხარო რეალობად რჩება ის ფაქტი, დევნილ ქალთა ნაწილისათვის საზოგადოებაში საკუთარი ინტეგრირებულობის საკითხი ჯერ მკვეთრად არ გამოკვეთილა იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ ქალები ისევ და ისევ პრიორიტეტულად არიან დაკავებულნი პირველადი ორგანული და უსაფრთხოების შემადგენელი საჭიროებების დაკმაყოფილებით, რაც უმეტეს შემთხვევაში მათი გადასაჭრელი და მოსაგვარებელია. ამ მიმართულებებით დევნილ ქალთა აქტიურობა ისევ მაღალია.

პირამიდის მომდევნო 4 საფეხურში არსებული მოთხოვნილებები ამ ეტაპისათვის არ არის მკვეთრად გამოკვეთილი და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯერ ნაკლებად აქტუალურია.

დასკვნის მაგიერ:

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად მშვიდობიან მოსახლეობაზე მიყენებული ზიანი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და გამოვლენილი. ომის დროს და შემდეგ დევნილობაში ქალთა მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ქალის ტრადიციულ როლთან ერთად დევნილობაში მათ დამატებით ახალი ვალდებულებები იტვირთეს საკუთარ თავზე, რაც გამოიხატება შვილებისა და ოჯახის წევრებისათვის ელემენტარული უსაფრთხოების მოსაპოვებლად ყოველდღიურ ბრძოლაში.

შეფასება მოამზადეს:

ნინო ციხისთავი,

ნატო ბაჩიაშვილი

გიორგი მეზურნიშვილი,

ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო ო ნ ფ ო რ მ ა ც ი ა :

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ქ ა ლ თ ა ქ ს ე ლ ი

მ ი ს ა მ ა რ თ ი : ლ . ა ს ა თ ი ა ნ ი ს № 10

თ ბ ი ლ ი ს ი 0 1 0 5 , ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ტ ე ლ . ფ ა ქ ს ი : (9 9 5 3 2) 9 8 8 6 9 5

ე ლ . ფ ო ს ტ ა : cwn@access.sanet.gecwn@cwn.geვ ე ბ გ ე რ დ ი : www.cwn.ge